ეროვნული პროფესიული საბჭოს
გაფართოებული სხდომის

ო ქ მ ი

პროფესიული კოლეჯი „იკაროსი"
(მისამართი: ქ. თბილისი; მარშალ გელოვანის გამზირი №4)
10 სთ; 29 ივლისი, 2011

1. სხდომის გახსნა - დიმიტრი შაშკინი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ეროვნული პროფესიული საბჭოს თავმჯდომარე;
2. პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე სამმხრივი შეთანხმების დოკუმენტზე ხელის მოწერა;
3. დოკუმენტიდან გამომდინარე სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრა.

   მხარეების მოსაზრებები:

   1. დიმიტრი შაშკინი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
   2. ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
   3. ელგუჯა მელაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა;
4. სხდომის დახურვა - საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, დამსაქმებლები, პროფესიული კავშირებისა და ასოციაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების, პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომა გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა და მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის.

მინისტრმა ისაუბრა პროფესიული განათლების რეფორმაზე და ამ პროცესში სამმხრივი დიალოგის მნიშვნელობაზე. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავდა ეროვნული პროფესიული საბჭოს სოციალური პარტნიორობის თემატური ჯგუფის მიერ, დოკუმენტის განხილვა მოეწყო არაერთხელ როგორც ფართე საზოგადოების მიერ, ასევე უშუალოდ თემატური ჯგუფის მუშაობის ფარგლებში და შეიძლება ითქვას, რომ ყველა მხარე

იზიარებს მასში მოცემულ დებულებებს. დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ყველა ის ვალდებულება, რაც პროცესში ჩართულ მხარეებს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროფესიული კავშირებს, მათ გაერთიანებებსა და დამსაქმებლებს ევალებათ პროფესიული განათლების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ელგუჯა მელაძემ კმაყოფილება გამოხატა იმ ფაქტის გამო, მომზადდა ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ბ-ნი ელგუჯა მელაძის განცხადებით საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აქტიურად არის ჩართული ეროვნული პროფესიული საბჭოს მუშაობაში, სწორედ ასოციაცია უწევს კოორდინაციას საბჭოს სოციალური პარტნიორობის თემატური ჯგუფის მუშაობას და მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ, ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა ისაუბრა იმ დადებით ტენდენციებზე, რაც პროფესიული განათლების სფეროში შეინიშნება. მისი თქმით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის შესამჩნევად გაიზარდა და ეს უდავოდ დასაფასებელია.

ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა მადლობა გადაუხადა სამმხრივი შეთანხმების დოკუმენტზე მომუშავე ყველა პირსა და ორგანიზაციას. მისი აზრით მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ პირველად, საგანმანათლებლო სფეროს რეფორმის პროცესში, გაჩნდა პრეცენდენტი და ინიციატივა, რომ დოკუმენტურად დადასტურდეს სახელმწიფოს, პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებლების ნება - განსაზღვრონ საკუთარი უფლებამოსილებები და მჭიდროდ ითანამშრომლონ პროფესიული განათლების სფეროს განვითარების ყველა ეტაპზე.

სხდომაზე შედგა შეთანხმება პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა - ბ-ნმა დიმიტრი შაშკინმა, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა - ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ და საქართველოს პროფესიული კავშირების თავმჯდომარემ - ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა.

ოქმის დანართი: ,,შეთანხმება პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე" (თბილისი; 29 ივლისი, 2011 წელი)

სხდომის თავმჯდომარე:
დიმიტრი შაშკინი

სხდომის მდივანი
თამარ სამხარაძე